



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 124

ქ. გარდაბანი

29/12/2022

124-06-4-202212291733



„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 4658 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (ს/კ №81.11.09.906) და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის №4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 6 დეკემბრის №18-182234029 წერილის თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 4658 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (ს/კ №81.11.09.906) და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის №4 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 1-ელი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალსოფელში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 4658.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები (ს/კ №81.11.09.906), შემდგომში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.“

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.
მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

